ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #28

2023წ. 17 ნოემბერი 16 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ნ.რუხაძე, ლ.დავითაშვილი,
მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ლევან ჟორჟოლიანი - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

ნინო ბაგაშვილი - სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე

უშანგი ენუქიძე - ა(ა)იპ"თბილისის განვითარების ფონდის" იურიდიული სამსახურის უფროსი

ლევან მიქავა - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

ვახტანგ ლომჯარია - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ლ.არველაძე

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქ. თბილისში, შპს „ათორის“ (ს/ნ 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“

N:12-032332044-03 16.11.2023წ.

2. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ერწოს ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.08.010.029, ფართობი - 1 515 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი

N: 12-03233072-03 03.11.2023 წ.

3. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მუხიანის IVა მ/რ, კოპრუსი 8-ისა და კოპრუსი N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.007.124, ფართობი - 957 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი

N: 12-032330644-03 02.11.2023 წ.

4. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, II მიკრო/რაიონში (თბოსადგური N45) მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.07.017.046, ფართობი - 900 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი

N: 12-032330643-03 02.11.2023 წ.

5. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვლადიმერ ნანეიშვილის ქუჩა N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.279) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე

 # 12-03233206 16.11.2023წ.

6. კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ე. ბეჟანიშვილის ქუჩა N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.005.015, ფართობი - 896 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე

 # 12-03233208 16.11.2023წ.

7. ,ქალაქ თბილისში, რ. ლაღიძის ქ. N2-სა და რ. თაბუკაშვილის ქ. N46-ში (ს/კ: 01.15.04.015.001 და 01.15.04.015.003) მდებარე კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლთან

დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი
N: 12-032330740-03 03.11.2023 წ.

8. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ
N:12-032331753-03 13.11.2023წ.

1. მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა წარმოადგინა „ქ. თბილისში, შპს „ათორის" (ს/ნ 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაუსრულებელ მშენებლობებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე" პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 15 ნოემბრის N23.1744.1928 განკარგულების საფუძველზე „ცენტრ პოინტი ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, იმ დაინტერესებული პირების მიერ გადახდილი/გადასახდელი თანხები, რომელთა მიმართ გამოყენებულია ან შემდგომში იქნება გამოყენებული შესაბამისი ხელშემწყობი ღონისძიებები, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ასევე შპს „ათორის" (ს/ნ 405077633) და მასთან აფილირებული კომპანიების მიერ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულების (შესაბამისი სამშენებლო სამუშაოების განხორციელება ან/და ამ დაუმთავრებელი მშენებლობის ფარგლებში არსებული დაზარალებულებისათვის შესაბამისი უძრავი ქონების გადაცემა ან/და მათი დაფინანსება შესაბამისი ფინანსური სახსრების პირდაპირ გადაცემით (შესაბამისი თანხის დაზარალებულების მიერ მითითებულ ანგარიშზე ჩარიცხვა) ან/და ამ დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის საჭირო სხვა ღონისძიებების განხორციელება) მიზნით; ამასთან, მიზანშეწონილია განისაზღვროს „ცენტრ პოინტი ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისათვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში დაინტერესებული პირების მიერ გადახდილი/ გადასახდელი თანხების ის ნაწილი რაც აუცილებელია „ცენტრ პოინტ ჯგუფის" დაუსრულებელი მშენებლობების დასრულებისათვის, მათ შორის, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „სითი ლოფტისათვის" პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 22 ოქტომბრის N2053 განკარგულებით გათვალისწინებული ის თანხა, რომელიც გათვალისწინებულია იმ პირთა დაკმაყოფილების მიზნით, ვისაც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, უდასტურდებათ შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" მიმართ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი.

2. **მოისმინეს:**

სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნინო ბაგაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ერწოს ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.08.010.029, ფართობი - 1 515 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია:

- მიწის ნაკვეთის მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.4-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 369,616.32 (სამას სამოცდაცხრა ათას ექვსას თექვსმეტი და ოცდათორმეტი მეასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

3. **მოისმინეს:**

წარმოდგენილი იქნა, აგრეთვე, „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მუხიანის IVა მ/რ, კოპრუსი 8-ისა და კოპრუსი N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.007.124, ფართობი - 957 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.2-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.

- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 150,427.20 (ას ორმოცდაათი ათას ოთხას ოცდაშვიდი და ოცი მეასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

4. მოისმინეს:

წინო ბაგაშვილმა კომისიის წევრებს გააცნო წ. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, II მიკრო/რაიონში (თბოსადგური N45) მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.07.017.046, ფართობი - 900 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=2.4-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 231,478.80 (ორას ოცდათერთმეტი ათას ოთხას სამოცდათვრამეტი და ოთხმოცი მეასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

5. მოისმინეს:

წარმოდგენილი იქნა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვლადიმერ ნანეიშვილის ქუჩა N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.279) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი.

დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია:

- მიწის ნაკვეთის მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება 2=2.5-დან კ-2=3.8-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე.
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 838,799.00 (რვაას ოცდათვრამეტი ათას შვიდას ოთხმოცდაცხრამეტი) სლარის გადარიცხვა განახორციელოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

თავი შეიკავა: მ.კაკაურიძე, გ.შარაშიძე

6. **მოისმინეს:**

„კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ე. ბეჟანიშვილის ქუჩა N13-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.005.015, ფართობი - 896 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე“

საკითხის განხილვა გადაიდო კომისიის მომდევნო სხდომამადე.

იმის გათვალისწინებით, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, მიზანშეწონილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა.

საკითხების განხილვა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილემ ნინო ბაგაშვილმა ყველა შეკითხვას ამომწურავი პასუხი გასცა.

7. მოისმინეს:

ა(ა)იპ"თბილისის განვითარების ფონდის" იურიდიული სამსახურის უფროსმა უშანგი ენუქიძემ წამოადგინა ,,ქალაქ თბილისში, რ. ლაღიძის ქ. N2-სა და რ. თაბუკაშვილის ქ. N46-ში (ს/კ: 01.15.04.015.001 და 01.15.04.015.003) მდებარე კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის განკარგულების პროექტი:

- ,,ქალაქ თბილისში, რ. ლაღიძის ქ. N2-სა და რ. თაბუკაშვილის ქ. N46-ში (ს/კ: 01.15.04.015.001 და 01.15.04.015.003) მდებარე კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 1 ნოემბრის N23.1667.1833 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის - „თბილისის განვითარების ფონდის" (ს/ნ 404384974) მიერ ქალაქ თბილისში, რ. ლაღიძის ქ. N2-სა და რ. თაბუკაშვილის ქ. N46-ში (ს/კ: 01.15.04.015.001 და 01.15.04.015.003) მდებარე კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლზე განსახორციელებელი ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების შედეგად შესაქმნელ ნამეტ ფართებზე საკუთრების უფლების წარმოშობასთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლებების ამავე მისამართებზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრეების სასარგებლოდ დათმობის თაობაზე.
- ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირის - „თბილისის განვითარების ფონდის" (ს/ნ 404384974) მიერ განსახორციელებელი ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების შედეგად შესაქმნელი ნამეტი ფართები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 1 ნოემბრის N23.1667.1833 განკარგულების დანართით, დათმობილ იქნეს ქალაქ თბილისში, რ. ლაღიძის ქ. N2-სა და რ. თაბუკაშვილის ქ. N46-ში (ს/კ: 01.15.04.015.001 და 01.15.04.015.003) შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების - „კადეტისა" და „რევაზ ლაღიძის 2"-ის იმ წევრებზე, რომელთა სასარგებლოდაც ნამეტი ფართების დათმობა არ არის გათვალისწინებული, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართით.

8. მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილემ ლევან მიქავამ და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ წამოადგინეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ ინფორმაცია.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები დაფინანსდება 1509,5 ათასი ლარით, მათ შორის:

ბიზნესის სტიმულირება (კოდი : 04 01) - დაფინანსდება 383,5 ათასი ლარით;

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: ქ. თბილისში დარეგისტრირებული მცირე მეწარმეების ხელშეწყობის და მათი წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით გამოფენა-გაყიდვა "თბილისური ბაზარი"-ს მოწყობა (მ. შ. დააგემოვნე თბილისის ქუჩებში) - 190000 ლარით;
ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმი - 130000 ლარით;
ინოვაციური პროექტების, იდეების, ახალი ტექოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა - 38500 ლარით;
ევროკავშირის საგრანტო ხელშეკრულება ,,ევროკავშირის გარე მოქმედებები" ENI/2017/394-803-ით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების აუდიტი - 25000 ლარით;

თბილისის განვითარების კვლევები,სტრატეგიები და პროექტები (კოდი: 04 03) - დაფინანსდება 346,0 ათასი ლარით;

თბილისის შესახებ ბეჭდური საპრომოციო მასალების დაბეჭდვა - 20000 ლარი;
თბილისის ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - 306000 ლარი;
ეკონომიკის განვითარებასთან დაკავშირებით შეხვედრების ორგანიზება - 20000 ლარი;

თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი: 04 04) - 110.0 ათასი ლარით;

საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა/ორგანიზება- თბილისის პრომოუშენი - 80000 ლარი;
საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ასოციაციებში თბილისის გაწევრიანება - 30000 ლარი;

თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი : 04 08) – 480,0 ათასი ლარით;

მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის (მანიშნებლები, საკემპინგე ადგილები, მარშუტების მარკირება და სხვა) – 90000 ლარი;
ტურიზმის სექტორის ბეჭდური და ციფრული გამოცემების ჟურნალისტების, ბლოგერების და ტურისტული ასოციაციების წარმომადგენლების თბილისის ტურისტული პოტენციალის შესასწავლად მოწვევა (ინფო-ტურები), მათი ვიზიტების ორგანიზება და თბილისის ტურისტული პოტენციალის წარმოსაჩენად შესაბამის გამოცემებში ინფორმაციის განთავსება (მოიცავს განთავსების ხარჯებს, ავიაბილეთებს, კვებას, გიდებს, ტრანსპორტირებას) – 90000 ლარი;
სხვადასხვა ქვეყნის გამყვან ტურიზმზე ორიენტირებული კომპანიების თბილისის ტურისტული პოტენციალის შესასწავლად მოწვევა - 80000 ლარი;
სექტორულ ასოციაციებში და guide book-ებში თბილისის გაწევრიანება - 50000 ლარი;
ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის უნარ-ჩვევების და სერვისის გასაუმჯობესებლად თემატური სემინარებისა და ვორქშოფების ორგანიზება - 45000 ლარი;
ადგილობრივი თემატური ღონისძიებების ორგანიზება/თანაორგანიზება, მათ შორის შეხვედრების ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან - 50000 ლარი;
საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობა ან/და ორგანიზება/თანაორგანიზება - 85000 ლარი;

ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი: 04 09) – 190,0 ათასი ლარით;

ადგილობრივი და საერთაშორისო საინვესტიციო ბიზნეს ფორუმის ორგანიზება/ თანაორგანიზება და მონაწილეობის მიღება - 50000 ლარი;
შეხვედრები ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, ეკონომიკური განვითარების სამსახურის დაგეგმილი პროექტების გაცნობა/პრეზენტაცია ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორებისთვის – 15000 ლარი;
პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება და საინფორმაციო კამპანიის დაფინანსდება - 100000 ლარით;
საერთაშორისო ინვესტორებისათვის დროებითი სამუშაო სივრცის ორგანიზება/მოწყობა - 25000 ლარი.

მოსმენილი ინფორმაციის, ასევე კომისიის სხდომაზე გამოთქმული წინადადებების გათვალისწინებით, კომისიამ გადაწყვიტა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში შესაძლებლობის ფარგლებში, გათვალისწინებულ იქნას:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის პრიორიტეტის ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამისათვის - ბიზნესის სტიმულირება (კოდი 04 01) გათვალისწინებული ასიგნებები 383,5 ათასი ლარი გაიზარდოს, ვინაიდან პროგრამის ფარგლებში 2023 წლის 16 დეკემბრიდან 2024 წლის 8 იანვრამდე პერიოდში ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის მიერ, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით იგეგმება მასშტაბური ღონისძიების - გამოფენა-გაყიდვა „თბილისის საშობაო ბაზარი" - ის ჩატარება.

პროგრამა „თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები"- (კოდი 04 03) ფარგლებში გათვალისწინებულია თბილისის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის შემუშავება, რისთვისაც ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია 306 000 ლარი. ღონისძიების მიზანია თბილისის ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო პოლიტიკისა და სტრატეგიების შემუშავება და მისგან გამომდინარე შესაბამისი პროექტების განხორციელება. პროექტები ეკონომიკის განვითარებას განიხილავს ბიზნესის ხელშეწყობის, შრომის ბაზრის განვითარების და ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების კუთხით. მისი მიზანია მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც გააუმჯობესებს ზოგად ბიზნეს-გარემოს, ხელს შეუწყობს დარგობრივ განვითარებას, გაზრდის ფინანსებზე ხელმისაწვდომობასა და ბიზნესის კონკურენტუნარიანობის დონეს, უფრო კოორდინირებულს გახდის ეკონომიკის განვითარებას.

ბაზრის სრულყოფილი კვლევის განსახორციელებლად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით პროგრამისათვის გათვალისწინებული თანხები გაიზარდოს 300 000 ლარით.

პროგრამის თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი: 04 04) ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული იქნას:
საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა/ორგანიზება- თბილისის პრომოუშენი - 200 000 ლარი;
საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ასოციაციებში თბილისის გაწევრიანება - 50000 ლარი;

პროგრამა „ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია“ (კოდი 04 09) ფარგლებში 2018 წელს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ განახორციელა 171100.0 ლარის ღირებულების საინვესტიციო პოტენციალის სექტორული კვლევის შესყიდვა, რომლის ფარგლებშიც შპს ,,დელოიტი და ტუში“-ს მიერ გამოვლინდა ყველაზე დიდი საინვესტიციო პოტენციალის მქონე სექტორები: ტურიზმისა და მასპინძლობის სექტორი; ჯანდაცვის სექტორი; ფარმაცევტული სექტორი; ვაჭრობისა და გართობის სექტორი; კრეატიული ინდუსტრია. საინვესტიციო პოტენციალის სექტორული კვლევის მიზანია, თბილისში არსებული და ახალი სამიზნე ეკონომიკური სექტორების/საქმიანობების საინვესტიციო პოტენციალის შესწავლა. კვლევის შედეგად უნდა გამოვლინდეს იმ სექტორების ჩამონათვალი, რომლებსაც თბილისის მუნიციპალიტეტისათვის გააჩნია საინვესტიციო მიმზიდველობა და შესაბამისად მოხდება ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორების დაინტერესება. აღნიშნული კვლევის ჩასატარებლად (განსაახლებლად) 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით არ არის თანხა გათვალისწინებული. თემის აქტუალობიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამატებით 200 000 ლარის გათვალისწინება;

ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის წევრების გადაწყვეტილებით, ბიუჯეტის პროექტი ზემოაღნიშნული რეკომენდაციებით გადაეგზავნა ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარეს ირაკლი ხელაძეს შემდგომი რეაგირებისათვის.

ლ.არველაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე ლ.არველაძე